



ტემპუსის პროექტის MAHATMA ფარგლებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 15-16 ივნისს საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა, სამაგისტრო პროგრამა: „ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში“ მონიტორინგის მიზნით. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წამომადგენლები, აკრედიტაციის ქართველი ექსპერტი, პარტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტი, ორი უცხოელი ექსპერტი Bath-Spa უნივერსიტეტიდან (დიდი ბრიტანეთი) და ეკონომიკის უნივერსიტეტიდან (სომხეთი). ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები შეხვდნენ უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებელს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ვიზიტმა წარმატებით ჩაიარა. ექსპერტებმა გამოკვეთეს პროგრამის ძლიერი მხარეები და აღნიშნეს, რომ პროგრამის სიძლიერეა კვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსი, ძლიერი მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და გამართული დოკუმენტაცია. მსგავსი აქტივობები ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაუმჯობესებას, განათლების ხარისხის განვითარებას და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჰარმონიზაციას ევროპულ სტანდარტებთან.